



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბიხოვსკაია სოფიო ლევის ასული

ბიხოვსკაია სოფიო ლევის ასული (1887, სანქტ-პეტერბურგი, – 1942, იქვე), ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი. მუშაობდა ლენინგრადში, აკად. ნ. მარის სახ. ენისა და აზროვნების ინ-ტში. იკვლევდა მთის იბერიულ-კავკ. ენათა გრამატ. ზოგად საკითხებს (მ. შ. ერგატიული კონსტრუქციის რაობას), დაამუშავა *დარგუული ენის* მორფოლ. ზოგიერთი საკითხი. ბ-მ საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა იბერიულ-კავკ. ენებთან, კერძოდ, ქართულთან ბასკური ენის მიმართებას. მანვე განიხილა იმერული დიალექტი მეგრულ და სვანურ ენებთან ურთიერთობის თვალსაზრისით: ბ-ს აზრით, იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი აი>ეი (წაილო>წეილო), აუ>ოუ (წაულო>წოულო), ვე>ო, რბილი ლ და სხვა მოვლენები ქართველური ენების შიშინა შტოს გავლენის შედეგია. ბ-ს დასკვნები ეწინააღმდეგება ისტ.-შედარებითი მეთოდის დასკვნებს.

თხზ.: Некоторые Фонетические особенности имерского говора грузинского языка (к вопросу о скрещивании языков), «Яфетический сборник», 1930, [ტ.] 6; «Пассивная» конструкция в яфетических языках, იქვე, 1934, ვ. 2; Показатели множественности как классовые показатели множественности как классовые показатели в грузинском и баскском языках, კრ.: Академия наук СССР академику Н. Я. Марру, М.-Л., 1935; Имена существительные в даргинском литературном языке, «Язык и мышление», 1940, т. 10.

გ. თოფურია

თ. უთურგაიძე
